



დეზინფორმაციის ძალაუფლება, როგორც განხეთქილების საფუძველი - ინფორმაციის ფლობა, როგორც მმართველი ტექნოლოგია

პოლიტიკის დოკუმენტი

ნატო მახათაძე

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ლინგვისტი, პიარ
ტექნოლოგიებისა და სოციალურ კვლევათა სპეციალისტი

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი GPPAC-ის სამხრეთ კავკასიის დიალოგის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას და აქვეყნებს როგორც სამშვიდობო საქმიანობაში ჩაბმული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის. 2022 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, პოლიტიკის დოკუმენტები, ძირითადად, ეძღვნება ამ თემატიკას რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ICCN-ის პოზიციას.

2022

თბილისი, საქართველო

შესავალი

ინფორმაციულობა დღეს ყველაზე დიდი იარაღია, რომელსაც ძვირად აფასებენ, სიცოცხლის ფასადაც კი. ამიტომ სწორი და დროული ინფორმაცია თანამედროვე პოლიტიკურ და სოციალურ არენაზე უპირატესობის ფლობასთან არის გაიგივებული. ინფორმირება ცალკე ხელოვნებაა. ინფორმაციის საჯაროდ გამოტანას თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც დაკავშირებულია ბევრ ასპექტთან; განსასაზღვრია დრო ანუ როდის უნდა მიეწოდოს, ადგილი, რა ტექნოლოგიებით/გზებით უნდა წარადგინონ, ნარატივი/ვერბალური ნაწილი, რომელშიც განსაკუთრებული მოხერხებულობით და პროფესიონალიზმით უნდა განისაზღვროს, რომელ დეტალებს უნდა გაესვას ხაზი, რომელი ინდივიდის კომენტარი უნდა წარუდგინონ დამადასტურებელ ან საპირწონე მასალად და ა.შ. ეს პროცესი შრომატევადია და მნიშვნელოვანია, რადგან მიღებული შედეგი განსაზღვრავს: უკუკავშირს, სამომავლო გეგმების განხორციელებას, მოწინააღმდეგის აქტიურობას, პარტნიორის ნდობას, აქტივისტების ქმედებას, საზოგადოების რეაგირებას, და სოციალური ჯგუფების მხრიდან არსებული ინფორმაციის აღქმას, მიღვენებას და ზოგჯერ მორჩილებას.

ყველაზე ფუნდამენტალურ დონეზე, ინფორმაცია არის ინტერპრეტაცია იმისა, რასაც აღვიქვამთ. ანალიზი კიდევ ცალკე მიმართულებაა, რომელსაც ყველა პოლიტიკოსი, ანალიტიკოსი, ჟურნალისტი და სოციალური ინდივიდი თავისი პოლიტიკური კულტურიდან განსაზღვრავს. მიზინფორმაცია - მარტივად და გასაგებად, არის სწორი ინფორმაციის არ ფლობა, კონკრეტულად - მცდარი და არაზუსტი ინფორმაცია. ერთ სიტყვას, სინტაგმურ ჯგუფს, ან სიმბოლოსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციასა და პერცეფციაში. მიზინფორმაცია განსხვავდება დეზინფორმაციისგან. დეზინფორმაცია ეს არის წინასწარ განზრახული ქმედება, თავისი მიზანმიმართული შედეგით, რომელიც გულისხმობს საზიანო ან რეალობისგან განსხვავებულ შინაარსს, მიზნობრივ ნადირობას, პროპაგანდას, რაც იწვევს შიშს, ეჭვს

მოსახლეობაში¹. სანამ დეზინფორმაციის თანამედროვე რეალობაში ზეგავლენასა და ძალაუფლებას განვიხილავთ, ამ ტერმინის ეტიმოლოგიას და ისტორიას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რაც სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში საქმის კურსში ყოფნის - ანუ ინფორმირებულ მდგომარეობაში ყოფნის აუცილებლობას კიდევ სხვა მარჯაზე წარმოადგენს. ინფორმაციის მოძიებისას, კვლევისას ხშირად ვხვდებით სიტყვა დეზინფორმაციის ორ ვარიანტს „desinformation“ და სიტყვა „disinformation“ (უკვე ქართულ ენაშიც). ეს ორი ნომენკლატურა კონტინენტალურ ხასიათს ატარებს, ზოგჯერ, შეიძლება პოლიტიკურ ლინგვისტიკასაც განსაზღვრავს. De პრეფიქსი, ევროპულ, ევრაზიულ კონტინენტს, უფრო კონკრეტულად კი რომანულ ენებს ახასიათებთ, dis პრეფიქსი, შუასაუკუნოვანი ინგლისური ენიდან მოდის (გერმანიკულია) და დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს ბეჭდვით და ვერბალურ მონაცემებთან ვაკავშირებთ. ამ ტერმინის გამოყენება კონკრეტული წყაროების მიხედვით, 1887 წლამდეც ხდებოდა ოფიციალურ გამოცემებში^{2 3 4}. ტერმინის ინტენსიური გამოყენება მეორე მსოფლიო ომის პერიოდთან, სსრკ-ს სისტემასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, დეფექტორი იონ მიჰაი პაჩეპა, ამტკიცებდა რომ სტალინს ეკუთვნის ეს ტერმინი, რომელმაც ფრანგული პრეფიქსი des მიუსადაგა სიტყვა ინფორმაციას, რომ მას დასავლური წარმომავლობა ჰქონოდა^{5 6}. მისი გამოყენება 1923 წელს „დეზინფორმაციის განსაკუთრებული განყოფილების“ შექმნასთან არის დაკავშირებული; სიტყვა დეზინფორმაცია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1952წ) განისაზღვრა, როგორც "ცრუ ინფორმაცია, რომლის მიზანია საზოგადოების აზრის შეცდომაში შეყვანა"⁷. ამ ტერმინს - დეზინფორმაციას დასავლურ ცივილიზაციაში/კულტურაში შევხვდებით „disinformation“-ის სახით და ის არამარტო

¹ <https://www.unhcr.org>

² . ("City & County Cullings (Early use of the word "disinformation" 1887)". *Medicine Lodge Cresset*. 17 February 1887. p. 3.,

³ "Support for Red Cross helps U.S. boys abroad, Rotary Club is told (1917)". *The Sheboygan Press*. 18 December 1917.

⁴ "Pure nonsense (early use of the word disinformation) (1907)". *The San Bernardino County Sun*. 26 September 1907. p. 8

⁵ Ion Mihai Pacepa and Ronald J. Rychlak (2013), *Disinformation: Former Spy Chief Reveals Secret Strategies for Undermining Freedom, Attacking Religion, and Promoting Terrorism*, WND Books, pp. 4–6, 34–39, 75, ISBN 978-1-936488-60-5

⁶ Shultz, Richard H.; Godson, Roy (1984), *Dezinformatzia: Active Measures in Soviet Strategy*, Pergamon-Brassey's, pp. 37–38, ISBN 978-0-08-031573-7

⁷ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია . 1952 წელი, მე2 გამოცემა, მოსკოვი, გვ 552

როგორც არა სწორი, მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, არამედ მანიპულორატორული ხასიათის ინფორმაციის ზეგავლენასაც გულისხმობს.

დეზინფორმაცია ჰიბრიდული ომის ნაწილი

თანამედროვე პოლიტიკურ და სოციალურ „დიდი საჭადრაკო დაფაზე“ (ზ. ბჟეზინსკი) ომის სამხედრო „ცხელ“ ფაზასთან ერთად, ჰიბრიდული ომის ტექნოლოგიები წარმოჩნდება. ეს უკანასკნელი უფრო მასიური და ამავე დროს წერტილოვანი ხდება. დეზინფორმაცია ამ ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია. ის ისეთივე სწრაფია, როგორც ინტერნეტი, და ისეთივე ემოციური შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, განსაკუთრებით თუ უარყოფითია, როგორც „შიშმა, რომელიც ოხერია“. დეზინფორმაცია ფსიქო-სოციალური ასპექტების მქონე ნარატივია, რომლის მიზანია ზუსტადაც რომ ზიანის მიყენება. და არა მარტო ზიანის. ამიტომ, ჰიბრიდული ომი გამოწვევაა საზოგადოებებისთვის, განსაკუთრებით კი ქართული საზოგადოებისთვის, რომელთა დამოკიდებულება და ახალი ინფორმაციის აღქმა და ანალიზი ასაკიდან და სოციალური ჯგუფებიდან გამომდინარე ცვალებად მდგომარეობაშია. ამას თავისი ისტორიული და კულტურული „ბეჭერაუნდი“ ანუ კონტექსტი და წარსული აქვს. ეს არის ოპერატიული თამაში, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდების, მოქალაქეების, სოციალური ჯგუფების დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის თუ პრობლემის მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კონფლიქტის მახასიათებლები იგივე რჩება. სახელმწიფოები, როგორც ყოველთვის, ჩართულები არიან სამხედრო და ეკონომიკურ დაპირისპირებაში „zero sum game“⁸-ით ანუ ნულოვანი ჯამით, სამხედრო კონფლიქტების აცილება არ ხდება, უსასრულოდ

⁸ Bowles, Samuel (2004). *Microeconomics: Behavior, Institutions, and Evolution*. Princeton University Press. pp. 33–36. ISBN 0-691-09163-3.

უსაფრთხოების დილემა რჩება, მუდმივად საჭიროა დაბალანსება და ა.შ. თუმცა, მოქმედების რეჟიმი, ბოლო წლის განმავლობაში განსხვავებულია და ამას რუსეთ-უკრაინის ომი ადასტურებს. კონფლიქტები, ომები ახალი, ნოვატორული და რადიკალური გზებით და საშუალებებით მიმდინარეობს. ყოველივე ამას მართვა და შესაბამისი ინსტიტუტების ფუნქციონირება სჭირდება და რაც უფრო ლაზათიანად მართავთ, მით მეტად აღწევთ სასურველ შედეგს როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო სივრცეში.

ჰიბრიდული ომი არც თუ ისე ახალი გამოწვევაა, და ის შესაძლებელია ისეთივე ძველია, ასაკოვანი, როგორც თვითონ საზოგადოება, თუმცა ამ კონცეფციამ ბოლო დროს მეტი პოპულარობა და აქტუალობა მოიხვეჭა. ამის მიზეზი არის ის რომ სახელმწიფო არასახელმწიფოებრივ მოთამაშეებს და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებს იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეზე იმოქმედოს, როგორც კონფლიქტის დროს, ასევე მის არარსებობის შემთხვევაში.

ძირითადი განსხვავება ჰიბრიდულ და ცნობილ საბრძოლო საშუალებებს შორის არის შემდეგი განმსაზღვრელი ფაქტორი: -ღიაობის ელემენტი. თუ ისტორიულად აღიარებული, ცხელი საბრძოლო ქმედებები ატარებენ ღია ხასიათს, ანუ, თავიდანვე არსებობს კონკრეტული განსაზღვრება კონფლიქტური მხარეებისა, ცნობილია ვინ ვის ებრძვის, ჰიბრიდული კონფლიქტის დროს, ასეთი სახის ღიაობა არ არის, ყოველ შემთხვევაში საწყის ეტაპზე. თანამოაზრის, თანამებრძოლის მაგივრად ზოგჯერ უცნობ, სხვა მხარის, საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ადამიანებს აღმოაჩენენ. ჰიბრიდული ომი, ეს არის კომპლექსური და გრძელვადიანი მომზადების პროცესი, რომელიც რამდენიმე ფრონტზე ვერ იარსებებს, რადგან მოითხოვს ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანურ და ინტელექტუალურ რესურსს. თუმცა, რაც უფრო მეტ სივრცეში გაქვს ჰიბრიდული ომი ერთ კონფლიქტთან დაკავშირებით, მით მეტად ხორციელდება ზეგავლენას.

ჰიბრიდული ომის კონცეფცია უპირველეს ყოვლისა ეფუძნება საშუალებას მიზანმიმართული ზემოქმედება მოახდინოს დაშორებულ ობიექტებსა და პროცესებზე, არატრადიციული საომარი საშუალებებით. სახელმწიფოები, ორგანიზაციები უფრო ხშირად იყენებენ არასახელმწიფო აქტიორებს (ორგანიზაციაში არ შემავალ აქტიორებს) და საინფორმაციო ტექნოლოგიებს, თავიანთი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად, პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში (მაგრამ, ბოლო დროის პრაქტიკა აჩვენებს, რომ კონფლიქტის დროსაც ხდება) თავიანთი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

ისტორიული ფაქტი, რომელზეც ვიმსჯელებთ ჰიბრიდული ომის უკეთ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების წარმოსაჩენად ბოლო თვეების რეალობაა - რუსულ-უკრაინული ომის მაგალითია. რატომ ბოლო თვეების და არა 2014 წლიდან დღემდე ისტორიული მონაკვეთი? იმიტომ რომ ჰიბრიდული ომი მაღალი აქტივობით, სწორედ ამ ბოლო პერიოდს 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე მონაკვეთს მოიცავს. ასეთი ომი გულისხმობს ზეგავლენის ინსტრუმენტებისა და ფეთქებადი მოქმედების ერთობლიობას. მიზანია მოწინააღმდეგე მხარის სუსტი მხარეების გამოყენება. რა თქმა უნდა, ეს სისუსტეები წინასწარ არის განსაზღვრული, გაანალიზებული. დღეს, ჰიბრიდულ ომს თანამედროვე სოციალურ და მედია საშუალებებთან ერთად მოიაზრებენ. რუსულ-უკრაინულ კონფლიქტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ მედიასივრცეს. ის მეტად ეფექტური ინფორმაციის მიწოდების წყარო აღმოჩნდა, ვიდრე ოფიციალური ინფორმატორი - სახელმწიფო და ტრადიციული მედია. (ოფიციალური ინფორმატორისგან მონაცემების მიწოდება კონფლიქტურ სიტუაციებში რთული, ვერბალურად, ფსიქოლოგიურად, სოციალურად, პოლიტიკურად განსასაზღვრი პროცესია, რომელზეც პირდაპირი, მყისიერი რეაქცია მოყვება მოსახლეობის მხრიდან. ამიტომ ეს ინფორმაცია მუდამ დაკავშირებული დროის ასპექტთან).

სოციალურ მედიაში, რომელიც გულისხმობს, როგორც სოციალურ ქსელებს, ასევე დახურულ მესინჯერულ სისტემას (რომელსაც დღეს მთავარ მასიურ ინფორმაციული ბრძოლის ველს შევადარებთ) განმსაზღვრელი საბრძოლო შემდეგი ფაქტორები აღმოჩნდა: ტექნოლოგიების ფლობა, იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფის კულტურის ცოდნა, რომლისთვისაც მიმართულია ინფორმაცია, ენის (ფრაზების, სახელწოდებების, სათაურების, სინტაგმური ჯგუფების) კორექტული გამოყენება, კონტენტის დროული ანალიზი და საპირისპირო მხარეს, სოციალური ინსტიტუტების, სოციალური ჯგუფების, არასახელმწიფო პირთა კომენტარების, ზოგადად კონტენტის - შემადგენლობის (ვიდეო/აუდიო) გამოყენება, გაშიფვრა და საკუთარი პოზიციის მხარდამჭერი დოკუმენტის სახით წარდგინება. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომელიც „ტერიტორიას“ გულისხმობს ანუ რომელ სოციალურ პლატფორმაზე მიმდინარეობს ინფორმაციის წარდგენა/ატვირთვა/მიღება. მნიშვნელოვანია ის პლატფორმა, რომელთანაც წვდომა ყველას აქვს. ამ ინფორმაციულ კონტენტში არის მიზინფორმაცია და დეზინფორმაცია, რომელიც ფსიქოლოგიურ-სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტების გათვალისწინებით ქმნიან შთაბეჭდილებას. შთაბეჭდილება კი რეალობის აღქმის საწინდარია.

დეზინფორმაციასთან ბრძოლა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები

დეზინფორმაცია ინტერნეტის შექმნამდეც ძალიან ეფექტური საშუალება იყო უსაფრთხოების სტრუქტურის დასარღვევად. ინტერნეტმა, მარტივად, უზრუნველყო მისი გავრცელების მარტივი და სწრაფი გზა; შედეგად თესავს დაბნეულობას, ამცირებს ხალხის რწმენას და ნდობას ისეთი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც კრიტიკულია ფუნქციონალური, ჯანსაღი დემოკრატიისთვის⁹ (მთავრობა, ახალი ამბების მედია და მეცნიერება). ეს შედეგი კი არის საფუძველი იმისა, რომ აქტიური საზოგადოების

⁹ globalsecurity.asu.edu/expertise/narrative-disinformation-and-strategic-influence/

რაოდენობა შემცირდეს, რაც ქვეყნის და დემოკრატიის განვითარებას საფრთხეში აგდებს.

ინგლისელი მეცნიერის თომას მალთუსის თეორია¹⁰ ხშირად უნდა გაგვახსენდეს ამ მდგომარეობაში; მისი მოსაზრებით, მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესით. რაც მეტია მოსახლეობა მით რთულია მათი მართვა. The Guardian-ის 2022 წლის 25 აპრილის სტატიაში გამოქვეყნებულია ინტერნეტის მომხმარებელთა სტატისტიკური მონაცემები¹¹, რომლის მიხედვით მსოფლიო მოსახლეობის რიცხვი 7 753 მილიარდს აღწევს. ამ რაოდენობას დაახლოებით 2/3 ანუ 4,9 მილიარდს ინტერნეტზე შეუფერხებელი წვდომა აქვს. 4,4-დან 4.6-მდე მილიარდი ადამიანი ინტენსიურად იყენებს სოციალურ მედიას facebook, YouTube, Instagram, TikTok, Twitter. (ტელეგრამს 700 მილიონამდე მომხმარებელი ყავს¹²) ეს არის უდიდესი აუდიტორია, რომელსაც შეგიძლია პირდაპირ რეჟიმში წარუდგინო რეალობა. საზოგადოების ჯგუფები, წევრები (მომხმარებლები) არა მარტო უყურებენ, არამედ მონაწილეობენ კიდევ ამ პროცესში. ისინი, პირდაპირ ეთერში წარმოდგენილი, გადმოცემული მოვლენის მიმდინარეობის პარალელურად, კომენტარის სახით აფასებენ ქმედებას, პოზიციასაც აფიქსირებენ, რეაგირებენ ფაქტებზე და ურთიერთქმედებენ; ხდება ინტერაქცია. მაგალითი: პოზიციის განსაზღვრა ინტერნეტ სივრცეში, რუსულ-უკრაინული ომის მაგალითზე, ვიზუალური ფრაგმენტებით ხდება: უკრაინული დროშის ჩართულობა ინდივიდის სახელის და გვარის გრაფაში, საკუთარი ფოტოს მაგივრად სახელმწიფო ან კონკრეტული კომპანიის სიმბოლოს ატვირთვა და ა.შ. ფაქტობრივად, საკუთარი თავის და მხარის იდენტიფიკაცია მხოლოდ ერთი სეგმენტით ხდება. მხარდამჭერთა და თანამოაზრეთა რაოდენობის განსაზღვრაც უფრო მალეა შესაძლებელი, ვიდრე რეალურ სივრცეში. . . აზრთა გაცვლა, ინფორმაციის და დეზინფორმაციის მიწოდებაც მეტად მარტივია ვიდრე ფიზიკური

¹⁰[britannica.com/biography/Thomas-Malthus](https://www.britannica.com/biography/Thomas-Malthus)

¹¹[theguardian.com/books/2022/apr/25/the-big-idea-can-social-media-change-the-course-of-war](https://www.theguardian.com/books/2022/apr/25/the-big-idea-can-social-media-change-the-course-of-war)

¹²[telegram.org/blog/700-million-and-premium/ru?setln=en](https://t.me/blog/700-million-and-premium/ru?setln=en)

ურთიერთობისას. შესაბამისად, ვუბრუნდებით მალთუსის თეორიას და მას ინტერნეტ სახელმწიფოსთან მიმართებაში წარმოვადგენთ; რაც მეტია სოციალური ქსელის სახეობა და რაც უფრო მაღალია ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი, მით მეტად რთულია ინფორმაციის მართვა, თუმცა, აუცილებელია. თავისთავად დემოკრატიისათვის ასე მახასიათებელი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე არ არის და არ იქნება მსჯელობა. მართვა გულისხმობს დეზინფორმაციის მხილებას. „ბრალმდებელის“ პოზიცია მეტად უპირატესია ვიდრე „ბრალდებულის“, ნებისმიერი „საქმის“ დროს. ამიტომ არის საჭირო დროული რეაგირება თამაშის წესების უპირობო ცოდნით და წინასწარი გათვლით. (მაგალითი: უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო ¹³). ბრძოლა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეს არის პრეროგატივა რეალური პოლიტიკის დასანახად.

როგორ უნდა ვიბრძოლოთ დეზინფორმაციის გავრცელებასთან? (გლობალური მასშტაბით დეზინფორმაციასთან ბრძოლის რესურსები არის ნატო, ევროსაბჭოს კონკრეტული დეპარტამენტი (მაგ. სტრატეგიული კომუნიკაციების ოპერატიული ჯგუფი) და ა.შ.). ეს პრობლემა სოციალური ქსელების შემქმნელი კომპანიების თავსატეხიცაა. ტექნიკურმა მხარდაჭერამ შეიძლება შეამსუბუქოს ინფორმაციის სანდოობის ფაქტორის განსაზღვრა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO REVIEW) ვებგვერდზე¹⁴ ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის სტატიაა წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, დეზინფორმაციის მინიმიზაციის მიზნით, ბეჭდვითი ხასიათით წარმოდგენილი ემოციების ანალიზი, სრულიად განსხვავებული მიდგომაა. აღნიშნულია, რომ პროცესში კომპიუტერები სწავლობენ ისეთი შეტყობინებების და სტატიების აღმოჩენას, რომლებიც გაოცების, ზიზღის და სხვა ემოციური პროგნოზირების მახასიათებლებს შეიცავენ. ეს მახასიათებლები, როგორც ამტკიცებენ

¹³ <https://www.kmu.gov.ua/en/yevropejska-integraciya/coordination/cifrova-transformaciya>

¹⁴ <https://www.nato.int/docu/review/articles/2021/08/12/countering-disinformation-improving-the-alliances-digital-resilience/index.html>

მეცნიერები, დიდი ალბათობით დაკავშირებული არიან ცრუ ინფორმაციასთან და შეუძლიათ სოციალური მედიის მომხმარებლებს შორის ვნებების გაღვივება. მათივე მოსაზრებით, ბუნებრივი ენის დამუშავების ალგორითმების დახმარებით შესაძლებელია განსახილველი ემოციების ლინგვისტური ნიშნების იდენტიფიცირება. ამგვარად, ადამიანის მხრიდან ფაქტების შემოწმება სრულიად აღარ საჭიროებს აუცილებლობას, შემცირდება მიკერძოება და ხარჯები, დამუშავების სიჩქარე კი გაიზრდება. ვასკვნით, რომ საჭიროა არა ფაქტების, არამედ ლინგვისტური ემოციების შემოწმება, რომელიც ინდივიდებში, მომხმარებელში რეაქციას იწვევს;

რეკომენდაციები

ინტერნეტმა დეზინფორმაციული რევოლუცია მოახდინა. ციფრული ინსტრუმენტების, ქსელების მასშტაბი და ზემოქმედება რადიკალურად გაიზარდა. თავისთავად ამ ინსტრუმენტებს, დღეს, ფლობს როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სუბიექტები, კერძო პირები და ორგანიზაციები. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთაც აქვთ ინტერნეტთან წვდომა, არც თუ ისე რთული იქნება ე.წ. დეზინფორმაციის გავრცელების სიჩქარის გაანალიზება. საქართველოში დეზინფორმაციის გავრცელება მწვავე პრობლემად რჩება. ინტერნეტ სივრცე დებატების პლატფორმა გახდა, სადაც ყველა სახის ინფორმაცია ჟღერდება.

დეზინფორმაცია არის სწრაფი პროცესი, რომელსაც გრძელვადიანი და სავალალო შედეგი მოყვება, რაც აისახება საზოგადოებაში საფრთხის არსებობის განცდით, შიშით, პანიკით და შედეგად საკუთარი თავისთვის და საზოგადოებისთვის საზიანო გადაწყვეტილების მიღებით.

დეზინფორმაციის საწინააღმდეგო რეგულაციების შემოტანა დიდ საფრთხეს უქმნის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას. დეზინფორმაცია კი კვლავ დიდ

პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ, არსებული პოზიციების, პრაქტიკის და რეალობის გათვალისწინებით, ოფიციალურ ინფორმატორებს, სახელმწიფო ინსტიტუციებს, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს, მასმედიას წარვუდგენ შემდეგ რეკომენდაციებს :

1. სახელმწიფო/სოციალური ინსტიტუტების მხრიდან მყისიერი პასუხი დეზინფორმაციაზე, (მათ ხელთ არსებული) ყველა ტექნიკური და საკომუნიკაციო პლატფორმის გამოყენებით უნდა განხორციელდეს.
2. შეიქმნას დეზინფორმაციასთან ბრძოლის სამსახურები (ითვალისწინებს ასევე უცხო ქვეყნების მხრიდან წარმოდგენილი და მხარდაჭერილი დეზინფორმაციის, პროპაგანდის წინააღმდეგ ფუნქციას); მასმედიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ პროცესში კვლევების და ანალიზის გზით.
3. ყალბი ანგარიშების აუდიტი რეგულარულად (წელიწადში ორჯერ) უნდა შესრულდეს ბაზრისა და კონკურენციის მახასიათებლების მიხედვით.
4. შეიქმნას სპეციალური საგანმანათლებლო ვიდეო-კონტენტი, რომლის მიზანია, მოქალაქეებში ინფორმაციის გადამოწმების უნარ-ჩვევების შეძენის პოპულარიზაცია. აუცილებელია მასმედიის ჩართულობა.
5. სოციალური ინსტიტუტებისა და მასმედიის მხრიდან უნდა შეწყდეს დეზინფორმაციის მხარდაჭერა.